№ 4 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. სამშაბათი, 6 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

ფილიალი ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ლირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. მე-მ ცხადების ფასი პირველ გვერდზე, პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. განგვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

Магазин № 22 „САКТРЕСТ" Инвент. № 330
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ა. ეგლანიშვილის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო რეპერტუარი

ხუთშაბათს, იანვრის 8-ს, დილით ქართული საბავშვო წარმოდგენა. საღამოს ეზროვის 20 წლის იუბილეი

პიკის ქალი

პარასკევს, იანვრის 9 ს, დილით „კარმენი", საღამოს „ჰოფმანის ზღაპრები". შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისთვის „ჯამბაზები" და ბალეტი. კვირას დილით „გენწელი და გრეშელი". საღამოს დირიჟორ კორშონის بენეფისი—„დუბროვსკი".

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

გარგის გადასტანა

მძიმე და მჩატე (25 ფუთიდან) საბარგო ავტომობილებზე. ოლლას ქ., № 29, ქალაქთა კავშირის სამექანიკო სახელოსნო. ტელ. 1—60. 292 6—5

„სოფლის სამეურნეო ეროვნის სტატისტიკური განყოფილება უფლებას ახალ წელს

თავის მოხალისე კორესპონდენტებს.

ულრმეს მადლობას უძღვნის იმ ადამიანთა შრომისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან ახალ კულტურის საქმის საერობო სტატისტიკის სასარგებლოდ და ულურვებს, რომ მათ კვლავაც ეწარმოებინოთ პატიოსანი შრომა შეგნებული მოქალაქისა სამშობლო კუთხის აღმშენებლობითი მუშაობაში. 5 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ყარაიაზის მამულის სარწყავი არხის შეკეთებისათვის 3.560.000 მანეთის გადადებისა და იმავე სისტემისათვის სათადარიგო საამშენებლო 400.000 მანეთის თანხის დაარსებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი ხუთას სამოცი ათასი (3560000) მანეთი ყარაიაზის მამულის სარწყავი არხის შესაკეთებლად.

2. უფლება მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს იმავე სარწყავი არხისათვის განსაკუთრებული სათადარიგო საამშენებლო თანხის ოთხასი ათასი (400000) მანეთის შედგენისა იმ პირობით, რომ ეს ფული გადახდეს მცხოვრებლებს ამ არხიდან წყლის ხმარებისათვის.

3. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა უნდა გადახდეს მცხოვრებლებს წყლის ხმარებისათვის სამი წლის განმავლობაში.

1919 წლის დეკემბრის 23-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დეკრეტი

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდებისა.

1. არსებული ფასი საფოსტო და სატელეგრაფო შინაგან კორესპონდენციისა, დაწესებული საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის სექტემბრის 17-ს კანონით (კან. კრებ. 1918 წ. კან. 62) გადიდებულ იქნეს თანახმად იმ ნიხრისა, რომელიც ამ დეკრეტთან არის დართული.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1920 წლის იანვრის 1-დან.

1919 წ. დეკემბრის 26-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ნიხრი

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციისა.

გასაგზავნის სახელწოდება.	გაგზავნის ფასი.
1. ბანდეროლი ბეჭდვითი ნაწარმოებისათვის.	15 გრამზე ორი შაური და უმცირესი გადასახადი ორი აბაზი, როგორც ადგილობრივ ჩაბარებისა, ისე სხვაგან გასაგზავნისათვის.
2. საქმის ქაღალდებისათვის.	15 გრამზე ექვსი შაური და უმცირესი გადასახადი სამი აბაზი ადგილობრივ ჩასაბარებლისათვის, ხოლო ათი შაური 15 გრ. და ერთი მანეთი უმცირესი გადასახადი სხვაგან გასაგზავნისათვის.
3. საქონლის ნიმუშებისათვის.	იგივეა რაც საქმის ქაღალდებისათვის.
4. ფია წერილი.	ადგილობრივ ჩასაბარებლისა ექვსი შაური და სხვაგან გასაგზავნისათვის ათი შაური, ხოლო პასუხგადახდილისა, როგორც ადგილობრივ ჩასაბარებლის, ისე სხვაგან გასაგზავნისა ერთი ორად მეტი.
5. დახურული უბრალო წერილი ადგილობრივ ჩასაბარებელი.	ორი აბაზი თვითეულ ოცდაათ გრამზე, ხოლო უმცირესი გადასახადი თოთხმეტი შაური.
6. დახურული უბრალო წერილი სხვაგან გასაგზავნი.	ერთი მანეთი თვითეულ ხუთმეტ გრამზე.
7. მიხადული სადარბაზო ბარათი.	ადგილობრივ ჩასაბარებლის 15 გრ. ორი აბაზი და უმცირესი გადასახადი თოთხმეტი შაური; ხოლო სხვაგან გასაგზავნისა ათი შაური და უმცირესი გადასახადი ერთი მანეთი.
8. დაზღვეული წერილი.	წონის ფასი იგივეა, რაც უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი, როგორც ადგილობრივ ჩასაბარებლისა, ისე სხვაგან გასაგზავნისა ერთი მანეთი.
9. ფასიანი წერილი ადგილობრივ ჩასაბარებელი.	წონის ფასი იგივე, რაც დახურული უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ორი მანეთი ყოველ ას მანეთზე ან მის ნაწილზე.
10. ფასიანი წერილი სხვაგან გასაგზავნი.	წონის ფასი იგივე, რაც უბრალო დახურულ წერილისა, ხოლო დასაზღვევი ორი მანეთი ყოველ ას მანეთზე ან მის ნაწილზე.
11. ფულის ბარათი.	ერთი მანეთი ყოველ ას მანეთზე, ან ასი მანეთის ნაწილზე, ხოლო უმცირესი ფასი კი ორი მანეთი.
12. გაგზავნილის მიღების შეტყობინება ადგილობრივად.	თოთხმეტი შაური გასაგზავნისათვის.
13. სხვაგან გაგზავნილის მიღების შეტყობინება.	ერი მანეთი თითო გასაგზავნისათვის.
14. ადგილობრივ გაგზავნილის მოძებნის თხოვნა.	ორი მანეთი თითო გასაგზავნისათვის.
15. სხვაგან გაგზავნილ კორესპონდენციის მოძებნის თხოვნა.	სამი მანეთი თითო გასაგზავნისათვის.
16. საფოსტო კორესპონდენციისათვის დაბრუნებისა, შეჩერებისა და მისამართის გამოცვლის თხოვნა.	სამი მანეთი თითო გასაგზავნისათვის.
17. შინ მიტანა საფოსტო ფულის ბარათისა და ფასიანი წერილისა.	500 მანეთამდე სამი მანეთი.
18. საბონიმენტო უჯრებით სარგებლობა.	ტფილისში 100 მანეთი, ქუთაისსა და სოხუმში 80 მანეთი, დანარჩენს ადგილებში კი 50 მანეთი წლიურად.
19. უფასო ამანათები.	წონის ფასი ას ვერსამდე ორი აბაზი გირვანქაში და უმცირესი გადასახადი ექვსი მანეთი; ას ვერსიდან 200 დე სამი აბაზი გირვანქაში და უმცირესი გადასახადი 8 მანეთი; ორას ვერსიდან 300-დე ერთი მანეთი და უმცირესი გადასახადი 12 მანეთი; სამას ვერსიდან 500 დე 1 მანეთი და 50 კ. გირვანქა და უმცირესი გადასახადი თოთხმეტი მანეთი. 500 ვერსის ზევით 2 მანეთი გირვანქა და თექვსმეტი მანეთი უმცირესი გადასახადი.
20. ფასიანი ამანათი.	წონის ფასი, იგივე რაც უფასო ამანათისა დასაზღვევი კი რაც ფასიანი წერილისა.
21. შინ მიტანა ამანათისა.	ტფილისსა და ქუთაისში 7 გირ. სამი მანეთი, 7-დან 12-დე ოთხი მანეთი, სხვა ადგილებში კი 7 გირვანქამდე ორი მანეთი, 7 გირვანქიდან 12-დე სამი მანეთი.
22. პლომბისა ან ლუქის ბეჭდის დასმა.	ათი შაური თითო პლომბი ან ბეჭედი ამანათზე, ხოლო თითო კონვერტის დაბეჭდვა ლუქით ათი შაური.
23. ამანათის შესანახი ფასი.	ათი შაური ამანათზე ყოველ დღეში პირველი უწყების ჩაბარებიდან ერთი დღის შემდეგ თუ მიმღები ქალაქის ფარგლებში ცხოვრობს. ანგარიშში არ ჩაითვლება ის დიდი უქმე, რომელიც უწყების ჩაბარების დღეს მოხდევს, თუ იმ უქმე დღეს ფოსტაში მუშაობა აღკვეთილია. იმ შემთხვევაში კი, თუ მიმღები ცხოვროს ქალაქს გარეშე, სადაც კორესპონდენცია არა ჰბარდება, ან მახლობელ სოფელში, შესანახი ფასი უნდა გადახდეს ამანათის მოსვლიდან ორი კვირის შემდეგ.
24. ფასდადებული კორესპონდენცია.	ყოველ ამანათზე ან მის ნაწილზე ორი მანეთი.
25. დამატებითი ფასი იმ კორესპონდენციისა, რომლისათვისაც ფასი ან სრულებით არაა გადახდილი, ან გადახდილია ნაწილად.	გადაუხდელი ფასის ერთი ორად გადახდა.
26. გადაცემა და ჩაბარება დეპეშისა.	ქალაქის ფარგლებში 1 მანეთი თითო სიტყვა, ქალაქ გარეთ კი ორი მანეთი, დამატებითი ფასი და მისალოც დეპეშებზე მომატებული ფასი გაუქმებულია.

27. სასწრაფო დეპეშა.	ფასი ერთი სამად მეტი ვიდრე უბრალო დეპეშისა.
28. სასწრაფო დეპეშა გადაცემის შემოწმებით.	ფასი ერთი ოთხად მეტი.
29. დეპეშის გადაცემა შემოწმებით.	ფასი ერთი ორად მეტი.
30. ფულის ბარათი დეპეშით.	ფულის ბარათის ფასი იგივეა, რაც 11 მუხლშია მოხსენებული, ხოლო დეპეშით გადაცემის ფასი იგივეა, რაც ელირება ოცსიტყვიანი ჩვეულებრივი დეპეშა.
31. დეპეშა რომელსაც გაგზავნის სახელმწიფო ბანკი, მისი განყოფილება, ხაზინა და ყოველი საკრედიტო და საზოგადო დაწესებულება მესამე პირთათვის რაიმე ფულისა ანუ ფასეულების მიცემის შესახებ.	იგივეა რაც სასწრაფო დეპეშებისათვის.
32. დეპეშის ჩაბარების ცნობა ტელეგრაფით.	ათ სიტყვიანი დეპეშის ფასი.
33. რაოდენისამე მისამართიანი დეპეშის პირების მიცემა.	ხუთი მანეთი თვითეულ ორმოცდაათ სიტყვაში მიუხედავათ იმისა, დეპეშის მიმღებს უნდა გაეგზავნოს პირი თუ გამგზავნელს მიეცეს თხოვნის თანახმად.
34. გაგზავნა დეპეშისა შიკრიკის ხელით ტელეგრაფის სადგურის გარედ.	ერთი თუმანი თითო ვერსში.
35. პირობითი და შემოკლებული მისამართით სარგებლობა.	ორასი მანეთი წელიწადში.
36. ტელეფონით დეპეშის გმდაცემა და მიღება.	სიტყვა 50 კაპეიკი.
37. საქართველოს ტელეგრაფის საგენტოს დეპეშის მიღება და გადაცემა.	სიტყვა ათი შაური.
38. დროგამოშვებითი გამოცემათა მიღება გაგზავნა და ჩაბარება.	ორი შაური თვითეულ ოცდაათ გრამზე ან ოცდაათ გრამის ნაწილზე.

1919 წ. დეკემბრის 26-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დამფუძნებელი კრება.

1919 წ. 31 დეკემბერის სხდომა.

მთავრობის თავმჯდომარის გ-ნ ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო, იმ შენიშვნებთა შორის, რომლითაც ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრეს ზოგიერთმა ორატორებმა, მე ავირჩიე რამოდენიმე მუხლი, ისეთი მუხლები, რომელთაც აქვთ საერთოდ პოლიტიკური ნიშვნელობა და მინდა ამ მუხლების შესახებ ვილაპარაკო. ეკონომიურ კითხვებზე აქ უკვე ილაპარაკა ბ. ავალიანმა და კიდევ წინეთ მეორე საკითხზე ილაპარაკა მომარაგების მინისტრის ამხანაგმა.

აქ უპირველეს ყოვლისა მიაქციეს ყურადღება თვით ამ კაბინეთის გადაჯგუფებას, და სთქვეს: აქ რაღაცა ამბავია, რაღაცა საიდუმლოებაა, თორემ რატომ ეხლა მოაგონდათ, რომ სამი კაცი ეხლა დანიშნეს მინისტრებათო.

მე მგონია, რომ საიდუმლო აქ არა არის რა იმითთვის, ვინც საერთოთ ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ ურთიერთობას და ანგარიშს უწევს ცხოვრებას. ჩვენ არასოდეს არ გვქონია პრინციპათ, რომ 5, 10, ანუ ოცი მინისტრი გვყოლოდა. ასეთი პრინციპით ჩვენ არასოდეს არ ვხელმძღვანელობდით. ეს არის კითხვა მიზანშეწონილების, პრაქტიკული მოთხოვნილებისა და არა პრინციპისა. თქვენ იცით, რომ ლოიდ-ჯორჯმა 12 მინისტრის მაგივრათ აიყვანა 20 მინისტრი. ეს იქ მოულოდნელი არ ყოფილა და არ წაურთმევიათ ლოიდ-ჯორჯისათვის უფლებები, რომ მას 12 მინისტრის მაგივრათ 20 აეყვანა. ამის გამო მის წინააღმდეგ არც ერთ ჯგუფს, პარტიას, არაფერი უთქვამს. ეს იქნებოდა სადაო მაშინ, რომ ამით იცვლებოდეს პოლიტიკა.

მართლა შეიცვალა თუ არა ჩვენი პოლიტიკა? აქ ზოგიერთმა ორატორებმა დიდი პოლიტიკური დებატები გამართეს, თითქოს ახალი კაბინეტი გამოცხადდა და უნდა გააკეთოს რაღაც ახალი რამ. ჩვენი პოლიტიკა სრულებით არ შეცვლილა, მაშასადამე პრინციპი რჩება ისევ ძველი. მხოლოდ კაბინეტის ცვლილება გადაჯგუფება არის პრაქტიკული კითხვა და პრაქტიკული საჭიროებისაგან გამომდინარეობს. აქ ბ. ვეშაპელი შეეხო ამ კითხვას და მოიხსენია მინისტრის პირადობა. უნდა ვსთქვათ, სუყველას საგულისხმიეროთ, რომ ამ ტრიბუნიდან არ უნდა იყოს სხვისი სიტყვა დამახინჯებული. ეს შეიძლება საგაზეთო პოლემიკაში, მაგრამ აქ კი დაუშვებელია. აქ იწერება ყოველი სიტყვა და ამიტომ ყველას, ვისაც სუსს ჩემი სიტყვის შესახებ ლაპარაკი, შეუძლია მოითხოვოს სტენოგრამა და წაიკითხოს. აქ მე არ მითქვამს, რომ სამხედრო მინისტრმა ყველაფერი გააკეთა მეთქი. მე ვთქვი, რომ საფუძველი ჩაყრილია და ამ საფუძველზე უნდა აშენდეს მაგარი, მტკიცე და მამაცი ჯარი, ასე რომ ახალ მინისტრს საპატიო საქმე და დიდი ალაგი აბარია, და მაშასადამე, მის მხნეობაზეა დამოკიდებული ჩვენი იმედები. ჩვენ ვიწვევთ მინისტრს და ვიცით, რომ ის ამ მოვალეობას აასრულებს.

არც ის მითქვამს, რომ ახალი მინისტრი იმისთვის არის მოწვეული, რომ მან კოდიფიკაცია მოახდინოს. მე არა ვარ იურისტი, მაგრამ ვიცი მაინც, რომ კოდიფიკაცია ნიშნავს არსებული კანონების აწყობას. აქ კი ლაპარაკი არის ახალ სამოქალაქო კანონების გამოცემაზე, რომელიც შეეფერება ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ვინც იცის ცხოვრების ამბავი ვინც შორიდან მაინც უყურებს ძირითად კითხვებს, სწორედ სამოქალაქო დებულება არის ძირითადი და ამ დიდი საჭიროების საქმისთვის მოწვეული მინისტრი არსენიძე არის თავის ალაგას.

აქ ერთმა ორატორმა ბ მაშენგელაიამ დააყენა კითხვა ფორმალურათ. აქვს თუ არა მთავრობის თავმჯდომარეს უფლება, რომ თავისი უფლებით მოახდინოს მინისტრების გადაჯგუფება, უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრით, ფორმალურათ, სწორედ რომ ვერაფერი სანუგეშო მდგომარეობაში არის შენგელაია. არავითარი ფორმა, არავითარი კანონი სამინისტროს და მინისტრების შესახებ არ არსებობს (დ. შენგელაია: მით უარესი!) ეს სხვა საქმე არის, მაგრამ მე ვამბობ იმას, რაც არის. (შენგელაია: ფორმულა?) ფორმულაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სწერია, რომ თავმჯდომარემ მთავრობა შეადგინოსო და არა ის თუ 5 ან 10 მინისტრი მოიწვიოსო და ვინაიდან მე ვთქვი, რომ არავითარი ფორმა გარდა იმისა, რაც შემოვიღეთ არ არსებობს და ამას მოგახსენებთ, მიიღებთ ამას თუ არა ეს დამფუძნებელი კრების საქმეა. მაშასადამე არ არის რაიმე ფორმალური მხარის დარღვევა. უნდა გითხრათ, რომ მთავრობისათვის, მინისტრებისათვის არა გვაქვს არავითარი დებულება, ის ძველი დებულება, რომელიც არსებობს რუსეთში და რომლითაც სარგებლობა შეიძლებოდა, ჩვენში დიდი ხანია გაუქმებულია. პირველი ტომი კანონებისა გაუქმებულია. და არავითარი ტომი არა გვაქვს და თავის-თავად ცხადია ვლაპარაკობთ იმაზე რაც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ, ეს არის ჩვენი კანონი, ჩვენი ტომი. უეჭველია, როდესაც შემდეგ იქნება კონსტიტუცია მიღებული, რასაკვირველია ისიც იქნება მოხსენებული თუ რამდენი პირისაგან უნდა შესდგებოდეს მთავრობა და რამდენი სამინისტროები უნდა იყოს, მაგრამ დღეს ეს არ არის. ამიტომ ბ. შენგელაიას შეკითხვა სრულიად უსაფუძვლოა. აი სწორედ ის რეზოლიუცია, რომელიც იქნება დამფუძნებელი კრების მიერ, აი ეს არის ჩვენი ფორმალური მხარე, ეს არის ჩვენი კანონი, და მაშასადამე სხვა კანონი არც გვქონია და არც გვაქვს. (ლ. შენგელაია: ფორმულაში ნათქვამი იყო მთავრობის შედგენა მიენდოსო) ბ. შენგელაია, მე ეს მოგახსენეთ და სწორედ მაკვირვებს, რომ არ დაგიგდიათ ყური. დიახ, მთავრობის თავმჯდომარემ უნდა მთავრობა შეადგინოსო, იყო ნათქვამი ფორმულაში და მე კიდევაც შევადგინე მთავრობა. რასაკვირველია სამინისტროებიც მქონდა და მინისტრებიც მყავდა.

აქ სამინისტროს დაარსების დასაბუთება ზოგიერთებმა დამიწუნეს. აქ ბ. ლლონტმა სთქვა, რომ რა ახალი ამბავი არის, სპეკულიატიური კანონის არსებობაო ეს დიდი ხანია არსებობს, ძველი ამბავია და აქამდე სად იყავით, ახლამდე უნდა დაგეარსებინათო. უნდა ვსთქვა, რომ მართალია, არის ამნაირი პოლიტიკა, რომ ამბობენ, რომ ეს ყველაფერი წინათ ყოფილაო. აი „ურიელ აკოსტა“-ში ერთი მოხუცი იტყვის ხოლმე ეს ყოფილა დიდი ხანიაო, ჩვენ ვამბობთ, რომ რაც დღეს არის, ეს არის ცხოვრების მოთხოვნილებისა. ამას ცხოვრება აყენებს დღიურ წესრიგში და ამას უნდა გაუწიოთ ანგარიში. მე ვამბობ დღიურ წესრიგში ეხლა სდგას ეს კითხვა მთელი თავისი სიმწვავით, როგორც არ იდგა არც რევოლიუციის პირველ დღეებში, არც ომიანობის დროს. თქვენ იცით, რომ ომიანობის დროს არ ყოფილა ის ეკონომიური სიმწვავე, როგორიც არის დღეს. მაშინ პური შაური ღირდა, ახლა კი 10 მან. და მეტიც. საქმე იმაშია, რომ ომიანობის დროს იყო ნამუშევარი ბევრი თაობისა, ეს იყო დაგროვილი და ამას 10—20 მილიონი სჭამდა და სვამდა და შემდეგ, როცა ეს გამოილია და არაფერი არ გაკეთებულა გარდა ომისა და ამ ჯარისკაცებს არც მოუმკიათ და არც უთესიათ, ეხლა ყველა დაგროვილი გამოილია. ეს ეკონომიური სიმწვავე ეხლა იჩენთავს, იმიტომ რომ ეხლა არის დალეული წინანდელი თაობის მიერ დაგროვილი სიმდიდრე და ამიტომ თავისთავათ ცხადია, რომ იმ დროს არ ყოფილა ეს სიმწვავე, რომ ჩვენ სამინისტრო დაგვეარსებინა. (ლლონტი: წინეთ არ არსებობდა?) მართალია, მომარაგების სამინისტრო იყო დაარსებული კერენსკის დროს, მაგრამ ეს იყო გამოწვეული იმით, რომ ჯარისთვის მიგვეწოდებინა ის პური, რომელიც ყველგან იყიდებოდა, რომ ჯარს უკეთ მიწოდებოდა ეს პური იყო დაარსებული ეს სამინისტრო. ამ ჟამათ კი სპეკულიატიურ კაპიტალს მიეცა ფართო ასპარეზი და ამ ასპარეზზე ჩვენც უნდა გამოვიდეთ და ამ კაპიტალს უნდა შევებრძოლოთ. აქ ამბობენ, რომ რა შუაშია აქ შრომის სამინისტროო, ის თავის თვის უნდა იყოსო. ეს რასაკვირველია, არ არის პრინციპიალური კითხვა, ეს არის, ასე ვსთქვათ ერთ გვარი პრაქტიკული მოსაზრება: სად სჯობდა, რომელ სამინისტროში უფრო მოხერხდებოდა მომარაგების სამინისტროს მოქცევა. და ვინაიდან მე ვთქვი, რომ შრომის პოლიტიკა არ შეიძლება ისე გავატაროთ, როგორც წინად, როდესაც უფრო იაფი იყო სასმელ-საჭმელი, შრომის პოლიტიკას უნდა ვამყარებდეთ არა ცალიერ სიტყვებზე, არამედ ხალხს უნდა მოუტანოთ ის, რაც მას სჭირია. თორემ რამდენიც არ უნდა ველაპარაკოთ ლამაზი სიტყვებით და უთხრათ: არ ვარგა გაფიცვები და სხვა, ამით სარგებლობას ვერ მოუტანთ, ცალიერი სიტყვები ვერავის დააკმაყოფილებს. ჯერ კიდევ მომარაგების სამინისტროს დაარსებამდე 50 მილიონი მანეთი გამოვიღეთ და მივეცით შრომის სამინისტროს და აი ამ ფულით მუშებისათვის მას უნდა ეყიდნა საჭირო სურსათ-სანოვაგე ისე, რომ სანამ ჩვენ სამინისტროს დავაარსებდით უკვე აეღეს ეს ალღო, შრომის სამინისტრომ უკვე დაიწყო მოქმედება. ჩვენ ეს ფაქტი დავადასტურეთ და მას მივეცით ერთნაირი იურიდიული აზრი, სანქცია. (ისმის ხმა: ცუდი აზრია) ჩვენ ვ:ჯით იმის და მიხედვით, თუ რანაირ პირობებში გვაყენებს ცხოვრება და რანაირ მოთხოვნილებებს გვიყენებს, თქვენ გვითხარით, შეეფერება თუ არა ეს მოთხოვნილება იმ პასუხს, რომელიც თქვენ მოგახსენეთ. გარდა ამისა უნდა გითხრათ, რომ ეუმეცა მინისტრი ვარ, მაგრამ ძალიან დიდი წარმოდგენა არა მაქვს სურსათის განაწილების შესახებ.

შრომის სამინისტროში არიან არა უბრალო მოხელენი, არამედ საუკეთესო წარმომადგენლები ისეთ კოოპერატივებისა, რომელნიც მუშათა კოოპერატივებში მუშაობენ, ისინი აწარმოებენ ამ საქმეს. მაშასადამე, ეს არის პრაქტიკული გამოცდილება.

(ლლონტი: „აღორძინება“ ში რა ხდებაო?) თუ „აღორძინებაში“ ცუდი ამბავი მოხდა, ეს სამინისტროს არ გამოეპარება.

აქ ჩვენ გვითხრეს, რომ რა პოლიტიკაა ის, როცა ერობას, თემს, ქალაქს სუყველას თავისი პოლიტიკა აქვს. მართალი ვსთქვათ ეს კრიტიკა, შენიშვნა რამოდენიმეთ მართალია იმას ჩვენც ვებრძვით, რომ თითოეულ ერობას არ ჰქონდეს სადარაჯოები გაკეთებული ძველებურ ფეოდალურ ხანებსავით არ ქონდეს საბაჟოები. მაგრამ თქვენ მიგვითითეთ იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა შევებრძოლოთ. მაგ. როცა თქვენ აირჩიეთ მთავრობის თავმჯდომარე მიეცით მას რაიმე უფლება? არავითარი ძალა-უფლება მისთვის არ მიგინიჭებიათ. მთავრობის თავმჯდომარისთვის და მინისტრებისათვის არ მიგიციათ ის უფლებები, რომ ამ პირებმა ასეთი მოვლენის წინააღმდეგ მიიღონ რაიმე ზომები (შენგელაია: სასამართლო?) თქვენ იცით, რომ სანამ სასამართლოში საქმე გათავდება, მანამ ბევრი რამე დაინგრევა. სამი ინსტანციაა არის და სანამ ამ ინსტანციებს გაივლიდეთ, სანამ ეს კითხვა მოწონებული იქნება, მანამ საქმე ან დაინგრევა ან აშენდება. (ა. ასათიანი: განა თქვენ არ ბრძანეთ, რომ საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც მთავრობას მოხელეები არ ყავსო). გთხოვთ, ნუ შეაკეთებთ იმას, რაც მე ვსთქვი; მე ვთქვი, რომ ცენტრალურ მთავრობას პერიფერიებში თავისი მოხელეები არ ჰყავსთქო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმეს იქ არ ყავდეს მოხელეები. იქ არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები. ხოლო დამოკიდებულება ერობათა და ცენტრალურ მთავრობის შორის ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ეს დიდი კითხვა არის, მაგრამ, სანამ ეს ჩამოყალიბდებოდეს, მანამ ჩვენ არა გვაქვს ძალა, რომ მოხელეთა უკანონობას შევებრძოლოთ, ან და ერობის უვარგის პოლიტიკას. მე პარტიულ ყრილობაზედაც ვსთქვი, რომ ჩვენში მეტად ძნელი გახდა დაცვა კანონიერებისა, იმიტომ რომ არავის სურს მოთავსდეს კანონის ფარგლებში არამც თუ მოხელეს, არამედ უბრალო მოქალაქესაც. იმას უნდა აღზრდა, უნდა დისციპლინა, ამისთვის საჭირო არის მაგარი ხელი და ეს ხელი თუ გვექნება მაშინ ჩვენ მოვახერხებთ კანონიერების დაცვას.

ყველ შემთხვევაში, როცა აფასებთ მთავრობის პოლიტიკას, უნდა შეაფასოთ ის არა განყენებულათ, არამედ იმის ნაყოფის და გვარად. მე შეიძლება ვსთქვა ერთი რამ: ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც არის ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში, გაცილებით უარესია, ვინემ ჩვენი სახელმწიფოსი, იქ, სადაც პური ყოველთვის აუარებელი იყო, განიცადეს საშინელი სიძვირე, მაგ., როსტოვი განიცდის შიმშილს, აგრეთვე კიევი, მოსკოვი, ყველგან უფრო ძვირია პური ვინემ ჩვენში. აიღეთ თუ გნებავთ ბათუმი და ბაქო, იქაც უფრო ძვირია ვინემ აქ. შედარებით სხვა სახელმწიფოებთან ჩვენ რაღაცას ვახერხებთ და ეს უნდა უკვირდეს ადამიანს. იმისდა მიუხედავათ, რომ იქ ფული არის აქ კი ბონი და ცხოვრება უფრო ძვირია, ვირდე აქ. (ლლონტი: ვინ გააკეთა ეს? ხპ. კედია: რაშია სეკრეტი?) ეს სასწაული არ არის, ეს არის საღი პოლიტიკის ნაყოფი. საღ პოლიტიკას პურის მოტანაც შეუძლია. და იმ პოლიტიკას რომ გავყვეთ, რომელზედაც შენგელაია ლაპარაკობდა, მაშინ აქ პური კი არა, ქვა-ქვაზე არ დარჩება. აი, ბატონებო, თქვენ გახსოვთ რა ილაპარაკა შენგელაიამ: „ჩვენში არც თავისუფლებაა, არც არაფერი, კაპიტალისტური პოლიტიკის მომხრენი ვართ და სხვ.“ არ ვიცი, თუ ჩვენში არ არის თავისუფლება, მაშ სად არის. უეჭველია არ არის თავისუფლება იმათთვის, ვინც ანგრევს რკინის გზებს, ეცემა ჩვენს გვარდიას, კომისარიატებს და სხვ., ვინც აწყობს ასეთ შეიარაღებულ გამოსვლებს. თუ ბ. შენგელაიას სურს ამათ მიეცეთ თავისუფლება, მაშინ თავისუფლება უნდა მივსცეთ იმათაც, ქურდებს და კაცის მკვლელებს. ეს ნიშნავს თავისუფლებას? ასეთი თავისუფლება ჩვენ არ გვწამს და ამას რამდენიმეთ აქვს გავლენა იმაზე, რომ ჩვენში შედარებით პური იაფია.

აქ სთქვეს, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ —ეს ნიშნავს: ცოტა რევოლიუციისაკენ, ცოტა ბურჟუაზიისაკენო. მე ვიცი ერთი პარტია, რომელიც ფიქრობს: ცოტა რევოლიუციისაკენ, ცოტა რეაქციისაკენო, და მან დააქცია რუსეთი. ეს არის რუსეთის სოც. რევოლიუციონერთა პარტია; (ა. ობეჩია: ჩხეიძე და წერეთელი ხომ იქ იყვნენ?) იყვნენ, მაგრამ იმათ გვერდით ედგნენ ესერები, რომელნიც ეუბნებოდნენ, რომ ყველა ქალაქებში ესერები ვართო,

მხოლოდ ესერები ნიშნავს ამას: რომ ცოტა რევოლიუციისაკენ, ცოტა რეაქციისაკენ და ამან დაანგრია რუსეთი. ჩვენ ვიდექით და ვდგევართ რევოლიუციის ნიადაგზე და თქვენ დამფასებელით მე რომელიმე რევოლიუციონური მთავრობა, და ან პარტია, რომელმაც მოახერხა გატარება თავის ქვეყანაში ისეთი რეფორმების, რომელიც აქ მოვახდინეთ. დამფასებელეთ ამისთანა მთავრობა, და მაშინ თქვენ მართალნი იქნებით. მაგრამ თქვენ ამისთანა მაგალითს ვერ მოიყვანთ. (სპ. კედია: რევოლიუცია ხომ ფოსტით მივიღეთ?) ფოსტით მიღებულსაც ბ. სპირიდონ, მოვლა უნდა.

აი მე ვამბობ, რომ შენგელაიას პოლიტიკას ჩვენ ვერ ვაწარმოებთ, და ვინაიდან ამ პოლიტიკას ვერ ვაწარმოებთ ამიტომ, რასაკვირველია, არის ის რომ, სხვათა შორის აქ ცხოვრება უფრო იაფი არის ვინემ იქ მოსკოვში, საითკენაც შენგელაია იყურება.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა გახლავთ შემდეგი: ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ევროპიდან ვერაფერს დიდს ვერ მივიღებთ, შეიძლება სრულებითაც არაფერი მივიღოთ. (შენგელაია: აზიიდან?) აზიაში ასათიანი იყურება და იმას კითხეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ მიწა წყალმა მეტი ნაყოფი მოგვიტანოს. ეს არის ჩვენი უაღრესი მიზანი, რომ ჩვენში ყველა მიწა ყოველნაირი საშუალებით იქნეს გამოყენებული, რომ ასე თუ ისე, ჩვენ დავაგროვოთ და დავამზადოთ ის სურსათი, რომელიც ჩვენს ხალხს ესაჭიროება. სწორედ ეს არის ერთნაირი პრაქტიკული დღევანდელი მიზანი და ჩვენ თუ ამას მივაქციეთ ყურადღება, და თუ ამისთვის ერთგვარი თანხაც გავიღეთ, მე მგონია, რომ ამ მიზანს მიაღწევთ. აქ ორი მაზრა ისეთია, რომ იქ პური რომ დავთესოთ მარტო ის პური ეყოფა მთელს საქართველოს. (ვეშაპელი: ამ ზამთრისთვის?) ამ ზამთრისთვის არის ის, რომ დღეს გამოვითხოვეთ 250 მილიონი მან. და ამაზე არის აშენებული ის გეგმა, რომელიც შემუშავებული აქვს შრომის სამინისტროს. თავისთავად ცხადია, რომ თუ ისეთი იდეალი დავისახეთ, როგორც ასათიანს ჰქონია სპარსეთი, მაშინ უნდა მოვაწყოთ ის როგორც არის: პარლამენტი დავითხოვოთ, რკინის გზები მოვშალოთ, ლიტერატურა არ იყოს, ტელეფონი მოვშალოთ, ე. ი. ჩვენ ვართ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით 100 წლის წინათ და შეიძლება ერთი ნატეხი პურის, ან მჭადის ან ნესვით, საზამთროთ ვირჩინოთ თავი. მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთნაირი კულტურა და მოთხოვნილებები, და ვინაიდან ჩვენ ვართ კულტურულ ხალხთა შორის, არ გვინდა უკან დაბრუნება. (კედია: არც სპარსეთის ბრინჯი გვინდა?) ჩვენ სპარსულ ბრინჯისათვის ხელს ვერ ავიღებთ ვერც რკინის გზებზე და ვერც ჩვენს კულტურაზე.

აი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არის ის, რომ იმ კულტურულ და ცივილიზაციის დონეზე შევაჩეროთ, რომელზედაც დღეს ვართ: თუ წინ არ წავალთ, უკან მაინც არ უნდა წავიდეთ. აი ამისთვის არის საჭირო მთელი მომარაგება და ამაზე არის, ბატონებო, აგებული მთელი ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება, რომ ამ კულტურულ და ცივილიზაციის გზიდან არ გადავიდეთ. შეიძლება ვინმეს ეჩქარებოდეს, მაგრამ ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ აჩქარებული კვიცი ღვარში გადავარდებაო. (ვეშაპელი: დედას რომ გაუსწრებს არა?) დიახ, ამიტომ ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს დღევანდელი მთავრობა, შეიძლება არ იყოს აჩქარებული, მაგრამ არც დაყოვნებით, არც აჩქარებით, უნდა წავიდეთ წინ, და თუ წინ არა უკან მაინც არ უნდა წავიდეთ. ასეთი სიარულით მივალთ იმ საფეხურამდე, რომელსაც ქვიან ჩვენი საბოლოო მიზანი (ასათიანი: სოციალიზმი!) დიახ ასეთი სიარულით, მაგრამ ისე აჩქარებით, როგორც სურს ზოგიერთებს, ვერ მივალთ ამ მიზნამდე. და ის რევოლიუცია, რომელზედაც შენგელაია ამბობდა პერგანენტური რევოლიუციიდან, გადაიქცევა პერგანენტურ შიმშილათ, სოციალიზმი კი შიმშილს არ ნიშნავს. თქვენ თუ გგონიათ, რომ ბალშევიზმი სოციალიზმია, მაშინ სცდებით. ეს სურულებით არ არის სოციალიზმი. სოციალიზმი ის არის, რომ არ იქნება გაჭირვება (ვინ შექმნის ამ სიმდიდრეს, ბურჟუაზია?) ხალხმა უნდა შექმნას. უნდა სვიქვათ, რომ ბურჟუაზია ვერ შექმნის, მაგრამ, თუ მარქსიზმი იცით, უნდა იცოდეთ, რომ მუშა ხალხი არის მემკვიდრე ბურჟუაზიისა. ამ გზაზე ვდგევართ ჩვენ და არ ვფიქრობთ, რომ ჩვენში სხვა რომელიმე კლასი, გარდა მუშათა კლასისა და დემოკრატიულათ განწყობილ ჯლეხობისა სხვა ვინმე შექმნის ეკონომიუსიმდიდრესა. მე ვამბობ, რომ ეს გზა არის გზა, რომელიც არჩეული აქვს დემოკრატიას—რეფორმების გზა და ასეთი სიარულით წინ, მიდგრათ, ეს გზა არის არსებითად მისაღები ნაყოფიერი გზა. ამას მისდევს მთელი ჩვენი დემოკრატია და ამას უნდა მისდევდეს დამფუძნებელი კრებაც (ხანგრძლივი და მხურვალე ტაში).

რეზოლიუცია.

მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება კაბინეთის რეორგანიზაციის შესახებ, დამფუძნებელი კრება იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, უცხადებს მას სრულ ნდობას და ადგენს: სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭის მას განსაკუთრებული უფლებანი მართვა—გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში.

პასპარა შენიშვნები.

რა უწოდოთ?

30 დეკემბრის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ ივ. გომართელის მოხსენებით მიიღო, სხვათა შორის, დეკრეტი ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დასახმარებლად 150 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

ეს ცნობა დაიბეჭდა ტფილისის გაზეთებში, დამფუძნებელ კრების სხდომის ანგარიშში.

3 იანვრის ნომერში გაზეთმა „სლოვომ“ პატარა შენიშვნა უძღვნა ამ ცნობას გ. ტ—ს ხელმოწერით, რომელსაც სათაურად აქვს: „სუბსიდია ტფილისის პოლიტეხნიკუმს“. თავის წერილს ბ-ნი გ. ტ. ასე იწყებს: „დეპეშა ტფილისის პოლიტეხნიკუმისათვის, ამ უმაღლეს ტეხნიკურ სწავლის გამავრცელებელ სასწავლებლისთვის მთელ ამიერ-კავკასიაში, ერთდროულად 150,000 მანეთის გადაცემის შესახებ დახმარების სახით, არსებითი მნიშვნელობა აქვს“. შემდეგ მოყვანილია წერილში ისტორიული ცნობა, თუ რომელი თანხით არსებობდა დღემდე პოლიტეხნიკუმი, როგორ სასარგებლო იქნება, რომ ის გადაკეთდებოდეს სახელმწიფოდ, რომ მას დახმარებას აღმოუჩენდენ, როგორც საქართველო, ისე მეზობელი რესპუბლიკები და სხ.

მკითხველი, უეჭველია, იკითხავს—რომელ დეპეშაზეა ლაპარაკი, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო. თუ ასეა საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ პირდაპირ არ სწერს, რატომ მიედებ-მოედება წერილის ირეტორიო.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „სლოვოს“ და მის სულის ჩამდგმელთ ერთი მეტად ცუდი ჩვეულობა აქვთ: იქ, სადაც საჭირო არ არის, მოიხსენიებენ ხოლმე და ძალიან ხშირად **საქართველოს** ანუ როგორც თითონ უწოდებენ **ქართულ** დამფუძნებელ კრებას, **ქართულ** მთავრობას. მაგ., ჩამოდის ვინმე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი,—„სლოვო“ უეჭველად დასწერს: შეეგებენ—საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრიო და სხ. მთავრობას დადგენილებებს ხომ მუდამ ასეთ სათაურს უკეთებს—„საქართველოს მთავრობის მოქმედებანი“.

რა საჭიროა ტფილისში ან საერთოდ საქართველოს რომელიმე ქალაქში გიხდა სოფელში იმის მოხსენება, რომ არსებობს საქართველოს მთავრობა. სხვა რომელი მთავრობა შეიძლება იყოს საქართველოში?

„სლოვო“ და ზოგიერთი სხვა გაზეთები თუ პირები იხსენიებენ თავის სახელწოდებით ჩვენს მთავრობას, ჩვენს დამფუძნებელ კრებას იქ, სადაც ეს საჭირო არ არის, არ იხსენებენ იქ, სადაც ეს საჭიროა.

რა უწოდოთ ამ გვარ მოქმედებას?..

ჩვენი საბაჟოები.

ბევრი დაიწერა და ითქვა ჩვენს საბაჟოებზე. ჯერ კიდევ, ალბათ, ბევრს იტყვიან და დასწერენ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც ვინმე წაიკითხავს დაწერილს, არც არავინ მოისმენს ნათქვამს...

სხვათა შორის, ამ ხანად ყურადღება უნდა მიექცეს საბაჟოების ცხოვრებაში ერთ მოვლენას: ამას წინად გაზეთებში შემდეგი ცნობა დაიბეჭდა: „მთავრობის დადგენილების თანახმად, გურიის ერობის გამგეობამ შეფასებით შეიძინა ყველა ის საქონელი, (მანუფაქტურა, მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე და სხ.), რომელიც ნატანების საბაჟოს მიერ იყო ჩამორთმეული და რომელიც საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყოველი შეგნებული მოქალაქე იტყვის, რომ კარგათ მოქცეულა მთავრობაც და ერობაც, მაგრამ აგრე არ მსჯელობენ თურმე ნატანების საბაჟოს ზოგიერთი მოხელეები.

როგორ თუ შეფასებით გადასცეს,—დაკავებული საქონელი უნდა გაყიდულიყო საჯარო ვაჭრობით. შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სპეკულიანტები, უფრო ძვირად გაიყიდებოდა საქონელი და, მაშასადამე, უფრო მეტი პროცენტები გვერგებოდა. აი როგორ მსჯელობენ ზოგიერთი მოხელენი!.. მათ დაჭერილი საქონლიდან განსაზღვრული პროცენტები ეძლევათ—მაშასადამე, რამდენათ მეტ ფასად გაიყიდება საქონელი, იმდენათ მეტს მიიღებს მოხელე.

აბა, ასეთ მოხელეს რა ხელი აქვს, თუ სპეკულიანტი საბაჟოდან გატანილ საქონელს ხალხს მომასისხლად მიჰყიდის—თითონ ხომ ბევრს აიღებს.

სულ სხვა გვარათ წავა საქმე, როცა საქონელი ერობას გინდ სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციას გადაეცემა შეფასებით: ამ შემთხვევაში მოხელე, მართალია, ცოტას მიიღებს, მაგრამ, სამაგიეროთ, ისარგებლებს ხალხი, სპეკულიანტს საშუალება მოესპობა ამ ერთ შემთხვევაში მაინც ხალხის ზურგზე ნავარდისა.

და როცა ზოგიერთი მოხელეები უკმაყოფილებას აცხადებენ მთავრობის ასეთი განკარგულების გამო,—ნეტავი აქვთ თუ არა მათ შეგნებული რასაც სჩადიან?.. დღემდე ავათ იყო თუ კარგათ საბაჟოს მოხელეები მაინც მუშაობდნენ—აკავებდნენ „კონდრაბანდს“ იმ იმედით, რომ პროცენტებს ბლომათ მიიღებდნენ...

დღეიდან კი ბევრი მოხელისთვის თავზარდამცემი იქნება ნატანების მაგალითი!.. ამ მაგალითში ისინი დაინახავენ მთავრობის სურვილს, რომ მას სურს საბაჟოების კანტროლის ადგილობრივ ერობებისთვის გადაცემა და შესაძლოა საქმეს ხელი შეუშვან ზოგიერთებმა. ჩვენის აზრით, სწორედ ახლაა საჭირო დიდი ყურადღება ჩვენი საბაჟოებისადმი. ყველაზე ახლოს ამ დაწესებულებებთან ადგილობრივი ერობები დგანან და სწორეთ მათ არ უნდა მოაკლონ თავიანთი ყურადღება რესპუბლიკის, როგორც საზღვრებს, ისე საბაჟოებს...

მთავრობაში

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ლანჩხუთში გამგზავრების გამო, მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი.

არ. ზურაბოვის გარდაცვალების გამო

მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაგზავნა არშაკ ზურაბოვის გარდაცვალების გამო:

„ჩვენი ძველი ძვირფასი ამხანაგის და თანამებრძოლის არშაკ ზურაბოვის მოულოდნელმა დაკარგვამ დიდად დამაშფუთრა. მართალია, ბოლო ხანებში ის ჩვენთან არ იყო, მაგრამ მისი ოცი წლის თავდადებული მუშაობა სოც. დემოკრატიულ პარტიაში სამუდამოდ დარჩება ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიის საუკეთესო ფურცლად და მას არ დაიცყწყებს დემოკრატია. მშვიდობით ძვირფასო მეგობარო არშაკ“.

იუსტიციის სამინისტროში

ახალი მინისტრი.

პარასკევს, იანვრის 2-ს, თანამდებობის აღსრულებას შეუდგა იუსტიციის მინისტრად ახლად დანიშნული რ. არსენიძე. ახალმა მინისტრმა, იუსტიციის ყოფილ მინისტრთან ე. პ. გეგეჭკორთან ერთად, დაიარა სასამართლო უწყების დაწესებულებაში მოთავსებული დაწესებულებანი და ეცნობოდა სასამართლოს მოხელეებს. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების დარბაზებში ე. გეგეჭკორმა და რ. არსენიძემ მიმართეს სიტყვებით იქ შეკრებილ მოხელეებს. მოხელეების მხრივ სიტყვით მიმართა მინისტრსა, ა. შანშიაშვილმა. შემდეგ მინისტრის კაბინეტში გაიმართა მინისტრის თავმჯდომარეობით თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სასამართლო დაწესებულებათა უფროსებმა. შაბათს, იანვრის 3-ს, მინისტრმა მიიღო დაწვრილებითი მოხსენება დეპარტამენტის მმართველის გ. თ. ჟორდანიასგან და გაეცნო სამინისტროს კანცელარიას.

მიღების საათები იუსტ. სამინისტროში

იუსტიციის მინისტრი მიიღებს მთხოვნელებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით 12—1 საათამდე, თანამდებობის პირთ—ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 11—12 საათამდე. იმავ დღეებში და საათებში იღებს თანამდებობის პირთ და მთხოვნელებს დეპარტამენტის დირექტორი.

—

თანახმად იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობისა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით ბორჯომის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კამერის მოსაწყობათ დროებით დაკავებულია ზმირიოვის სახლი.

თანახმად იუსტიციის მინისტრის წინადადებისა ქუთაისის გუბერნიაში სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს ყრილობის რევიზიის მოსახდენად იქნენ ალექსანდრე ჟორდანია და ნარაძე.

იუსტიციის სამ. დეპარტამენტის დირექტორს მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

გორის მაზრის სამხედრო საგანგებო სასამართლო ათავებს რა თავის მოქმედებას და უძღვნის იუსტიციის სამინისტროს მხურვალე მადლობას მცოდნე პირების გამოგზავნისთვის, რომელმაც ენერგიიული და სწრაფი გამოძიებით და კანცელარიის მოწყობით გაგვიწიეს დახმარება. მადლობა ორჯონიკიძესაც მის მიერ მოვალეობის პატიოსნურად და წმინდად შესრულებისათვის. თავმჯდომარე ლაშქარაშვილი.

მიღების საათები.

იუსტიციის დეპარტამენტის მმართველი იღებს მთხოვნელებს, ორშაბათობით და ხუთშაბათობით 12—1 საათამდე, თანამდებობის პირთ—ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 11—12 საათამდე.

მეფის ბიუსტის მოხსნა.

იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, მოიხსნა მეფე ალექსანდრე მეორის ბიუსტი, რომელიც მოთავსებული იყო სასამართლო უწყების შენობაში.

თარჯიმანების რიცხვის შემცირება.

იუსტიციის სამინისტრომ ცირკულიარული განკარგულება გაგზავნა სამომრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარეებისადმი, რათა დაუყონებლივ დათხოვნილი იქნან სამოქრიგებლო უბნებში დანიშნული თარჯიმანები იქ, სადაც თარჯიმანის ყოლა აუცილებლივ საჭირო არ არის ადგილობრივ პირობების მიხედვით.

ერეგა.

სკოლების საქმე სიღნაღის ერობაში.

უკანასკნელ ხანებში სიღნაღის მაზრაში სახალხო სკოლების საქმე სასურველ ნიადაგზე დადგა. ერობა მუშაობს მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დეკემბერში მასწავლებლები იღებდენ თვეში 2300 მანეთს. მიღებულია ზომები დარჩენილი ვალების გადასახდელადაც. ხალხში სწავლა-სადმი მისწრაფება ღრმათ იკიდებს ფეხს, წინეთ თუ გულგრილად ეპყრობოდენ სწავლა-განათლების საქმეს, დღეს მოითხოვენ ახალ სასწავლებლების დაარსებას. სამწუხაროთ მასწავლებლების ნაკლებობა ხელს უშლის სწავლის საქმეს. ახლო მომავალში განზრახულია სიღნაღის მაზრის ყოლობის მოწვევა, რომელიც სხვათა შორის ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებასაც.

საერობო საავადმყოფოები.

ერობათა კომიტეტის სამედიცინო-სასანიტარო განყოფილების დროებით გამგე ექიმი ი. ლომოურმა დაუგზავნა შეკითხვები სამაზრო ერობებს საავადმყოფოების მოთხოვნილების შესახებ. ექიმი ლომოური მიუთითებს, რომ ევროპის მაგალითის თანახმათ ერობებმა უნდა იზრუნონ 15 საწოლიან საავათმყოფოების დაარსებისათვის ყოველ 15 ათას მცხოვრებლებზე. გარდა ამისა სამაზრო ცენტრში უნდა იქნეს 30 საწოლიანი საავადმყოფო. სამედიცინო-სასანიტარო განყოფილება სთხოვს ერობებს აცნობონ თუ რა საავათმყოფო (რამდენ საწოლიანი) ესაჭიროება მათ და შეუძლიანთ თუ არა მათი შენახვა.

ხიდები.

შორაპნის სამაზრო ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მისცეს ერთი მილიონი მანეთი სუბსიდია სამი ხიდის ასაშენებლად მდ. ყვირილაზე, აჯამურაზე და ჩოლაბურაზე, ერთი ამ ხიდთაგანი შეერთებს ორ მხარეს მაზრისას, ხოლო მეორე კი ჩხარის რაიონს ცენტრთან.

სტატისტიკური კურსების დახურვა.

საერობო სტატისტიკური კურსები დაიხურა 28 დეკემბერს. კურსები გაგრძელდა 6 კვირას. კურსების დახურვის წინ გაიმართა საუბარი სხვადასხვა კითხვების შესახებ. ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის წარმომადგენელმა მანდელშტამმა და ერობათა ცენტრალურ კომიტეტის—ცეკავშვილმა მიუთითეს მსმენელთ თუ რა მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ ცოდნას და რას მოელის ერობა და სახელმწიფო მათგან. ლექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კონმა კურსების დახურვისას განაცხადა მსმენელთ, რომ ყველა ლექტორები ამიერიდანაც დიდი ხალისით მისცემენ ყოველნაირ დარიგებას და განმარტებებს. მსმენელთა წარმომადგენელმა ხუციშვილმა გამოსთქვა მსმენელთა სახელით მადლობა როგორც ლექტორების ისე ერობათა კომიტეტის წინაშე. მოწმობები კურსების გათავებისა მიეცა 45 მსმენელს. ამ წელში ერობათა კომიტეტს განზრახული აქვს გახსნას ასევეიე განმეორებითი კურსები.

ლეგენდა რუსთაველზე

„თქმულება შოთა რუსთაველზე“. ოპერა დიმ. არაყიშვილისა.

ამ ლეგენდის ამბავი დიდად საინტერესო არის ჩვენთვის, ვინაიდან შოთა რუსთაველის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს.

რუსთაველის შესახე ჩვენ მარტო ის ვიცით, რასაც მხოლოდ თვით მისივე „ვეფხის ტყაოსანი“ გვაძლევს, თუ გვამცნევს, რომ შოთა რუსთაველი იყო მესხი, სოფელ რუსთაველიდან, რომელიც მესხეთში მდებარეობს. ვიცით კიდევ ის, რომ რუსთაველს სახელად აშოთანი ერქმევია. ზარზმის წარწერების ცნობებით კი შოთა არის მისი სახელი და ბერობაში შესვლის დროს, მისთვის სახელი შეუცვლიათ და შიო უწოდებიათ შოთას მაგიერ.

ტიმოთე მთავარ ეპისკოპოსის ცნობით რუსთაველი ბერად შეყული სცხოვრებდა იერუსალიმში ჯვარის მონასტერში, რომელი მონასტერიც თვით მასვე განუახლებია და მისი სურათიც შიგვე ხატია ერთ კედელზე, მოხუცებულის სახით, რომელი სურათიც გადმოღებულ იქნა პროფესორ ალექს. ცაგარლისაგან და გავრცელებულია ქართველებში.

ამიტომაც შოთა რუსთაველზე, თუ რამ იქნება მოპოვებული, ლეგენდა, ზეპირი ამბები, გადმოცემანი, თუ სხვა რამ ასეთი ცნობები ყველას სათანადო ადგილი ეთმობა ქართულს მწერლობაში, ამგვარად, დიმ. არაყიშვილისაგან აღებულს ლეგენდასაც უნდა მიეცეს სათანადო ნნიშვნელობა, ვინაიდან იგი ეხება ისეთ დიდ ბუნებოვან პირის ცხოვრებას, როგორიც არის შოთა რუსთაველი.

ამიტომ საჭიროთ ვრაცხთ, რომ აქ მოვიყვანოთ ორიოდე ცნობა იმ ლეგენდის შესახებ, რაც ამ უკანასკნელ დროს გახდა საგნად და საფუძვლად, რომ დიმ. არაყიშვილმა შოთა რუსთაველის შესახებ ოპერა დასწერა.

მე ლეგენდის შინაარსთან საქმე არა მაქვს, მის ავაკარგიანობას ჩვენ არ შევეხებით, თუ იგი რამდენად ეხება შოთა რუსთველის ცხოვრებას და ან რამდენად ჰფენს ნათელს, როგორც შოთა რუსთველის ცხოვრებას, ისევე ჩვენს განვლილს დროს და ქართველი ერის ისტორიულს ცხოვრებას და მის ღირსებას.

ეს ლეგენდა, რომელზედაც აშენებულ იქმნა ღირსეული ოპერა და მასთან ბევრი რამ თქმულებანი შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ, იგი პირველათ დაწერილ იქმნა ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძისაგან 1860 წლებში. ეს მაშინ პირველი ნმაგალითი იყო ქართულ ენაზედ, ეს ლეგენდა მაშინ დაბეჭდილ იქმნა 1862 წ. ჟურ. „ცისკარში“.

ამ ლეგენდამ მაშინაც მიიპყრო თავისი ყურადღება და ამბობდენ, რომ ეს ლეგენდა ტყუილი მოგონილია და ხალხში ასეთი არ არსებობსო, ანტონ ფურცელაძემ ეს საიდან შეთხზაო კითხულობდენ. ლეგენდა მაინც ლეგენდათ დარჩა, ის ხალხმა მიიღო.

დრო და ჟამმა თავისი გაიტანა და ამ ლეგენდას მკითხველებიც გაუმრავლდა, საქმე ისე მოეწყო, რომ ეს ლეგენდა 1879 წ. მე დავბეჭდე ცალკე წიგნათ და 1891 წ. მეორეთ გამოსცა სპირიდონ ჭელიძემ ქ. ბათუმში.

ამ გვარათ, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, თქმულება შოთა რუსთაველსა და მის ცოლზე პირველათ დაწერილია ანტონ ფურცელაძისაგან და დაბეჭდილია 1862 წ. „ცისკარში“. სხვა რამ ამ გვარი გადმოცემანი არავისაგან ყოფილა დაწერილი და დასტამბული, ეს არის მხოლოდ ერთათ ერთი პირველი წყარო, რომელზედაც აშენდა, როგორც დიმ. არაყიშვილის ოპერა, ისევე სხვაც ბევრი რამ ცნობები ამ ლეგენდისა.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ ლეგენდის დაწერის პირველობა და მისი გამოქვეყნება ანტონ ფურცელაძეს ერ მოესპოს და იგი ლეგენდა ცნობილ იქმნეს იმ ისტორიულის პირობებით, თუ იგი როდის დაიწერა, ვისგან ან როდის დაიბეჭდა და სად.

თორემ ეხლა ხანაც იყო გაზეთებში ლაპარაკი, რომ ერთ პირს ეს ლეგენდა შეცდომით მიუკუთვნებია. ლეგენდის გალექსვა ლეგენდის შექმნას კიდევ არ ნიშნავს.

ლიტერატურული ეთიკა და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, თუ ეს ლეგენდა— სად ჰპოვეს, სად წაიკითხეს, ვისგან გაიგონეს?

ზ. ჭ.

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობა გაიხსნება 8 იანვარს, დღის 12 საათზე, რეალური სასწავლებლის დარბაზში.

ყრილობას გახსნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

შემდეგ ყრილობას მიესალმებიან სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

შემდეგ ამისა მოხდება ყრილობის პრეზიდიუმის და სათანადო კომისიების არჩევნები.

პროვინციებიდან ჩამოსულ მასწავლებელთ ბინა ეძნებათ მე 6 ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ., № 6, მიმართავენ დავით პარკაძეს).

მუშათა კავშირებში.

მეორე ყრილობა პროფ. კავშირთა დელეგატებისა.

პროფესიონალ კავშირთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა დასრულდა 31 დეკემბერს. ყრილობაზე დაესწრენ დელეგატები თითქმის საქართველოს ყველა კუთხეებიდ. ყრილობაზე მოსმენილ იქმნა სხვათა შორის მოხსენება ქ ნ ჟორდანიასი, რომელმაც გააცნო ყრილობას დღდობისა და ბავშვების დამცველ საზოგადოების მიზნები და აღუთქვა ამ საკითხის შესახებ მოხსენებების წაკითხვა პროვინციებშიც განყოფილებების გასახსნელად.

ი. გოლდმანის მოხსენება სატარიფო პალატის მუშაობის შესახებ, მომარაგების სამინისტროს სასურსათო განყოფილების გამგის ვ. წულაძის, რომელმაც მოახსენა ყრილობას მომარაგების სამინისტროს მუშაობა სურსათის საკითხის მოგვარების შესახებ და აღნიშნა, რომ მომარაგების სამინისტროს სასურსათო განყოფილება ამ დღეებში შეუდგება პურის განაწილებას თანახმად ახლად შემუშავებულ კანონისა. შემდეგ მოხდა პროფ. კავშირთა საბჭოს წევრების დამატებითი არჩევნები, აირჩიეს: გაჩეჩილაძე და ჭიაბრიშვილი.

პასუხისგებაში მიცემა.

შრომის კომისარმა კანონის 23 და 212 მუხ. ძალით პასუხისგებაში მისცა ძმ. ვახნიანსკის ქარხნის გამგე, რომელმაც დაარღვია კანონი 6 საათის მუშაობის შესახებ. შრომის კომისარმა დაათვალიერა აგრეთვე სტამბა „კულტურა“, რომლის პატრონი არის ავდეევი და ვოკაიტისი და აღმოაჩინა, რომ სტამბა იმყოფება ანტიგიგიენურ მდგომარეობაში და ადგილი აქვს სავალდებულო კანონების დარღვევას მუშების მიღებისა და დათხოვის შესახებ, შრომის კომისარმა მიიღო ყველა ეს მხედველობაში და გააფრთხილა სტამბის პატრონები, რომ არ განმეორდეს ასეთი მოვლენა; წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისგებაში იქნება მიცემული.

მილიციაში.

ქურდობა.

31 დეკემბერს, კირის ქუჩაზე მცხოვრებ ტერ-აბრამიანცს მოჰპარეს სხვადასხვა ოქროსა და ვერცხლის ნივთები 297,000 მანეთისა.

—

კინემატოგრაფ „ფილმას“ გამგემ განუცხადა მეორე უბნის კომისარს, რომ სისტემატიურად იპარავენ კინემატოგრაფიდან ელექტრონის შუშებს—კომისარმა მიიღო ზომები და აღმოაჩინა მოპარული შუბები იქვე მოსამსახურე ი. არჩვაძესთან, რომელიც გამოტყდა ქურდობაში.

მძარცველების მოკვლა.

31 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, სომხების სასულიერო სემინარიასთან გაძარცვეს ვინმე კოტელნიკოვი; ეს აცნობეს „ერთობის უბნის“ სახალხო გვარდიის შტაბს. გვარდიელებმა შეიპყრეს მძარცველები. იმ დროს როდესაც ტუსაღები გვარდიელებს და მილიციონერებს კომისარიატში მიჰყავდათ მათ განზრახეს გაქცევა, ორივე იქვე მოჰკლეს.

—

21 დეკემბერს, მერვე სამილიციო უბნის კომისრის თანაშემწე გაბაშვილმა, ქუჩების დაზვერვის დროს დაჰპატიმრა ოთხი ბოროტგამზრახველი, რომელთაც ჩადენილი აქვთ ბევრი ბოროტ-მოქმედებანი. უკანასკნელ ხანებში ისინი მადათოვის კუნძულზე თავს დაესხენ და გაძარცვეს მრავალი პირები. დაჭერილები არიან: გურბანიძე, ლევან კობახიძე, გრ. საკოვი და სიმსონ სირაძე. უკანასკნელი მეთაური არის, რომელიც გამოტყდა ყველაფერში.

ქურდობა.

მუხრანის ქუჩაზე მცხოვრებ ბ. ავალიანს და მუშკიდინს სახლში არ ყოფნის დროს უცნობ ბოროტმომქმედებმა მოჰპარეს 20.000 მან. სხვა და სხვა საოჯახო ნივთები. იქვით დაპატიმრეს ჭილაგიძე.

დახოცილების პოვნა.

30 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, რკინის გზაზე ერთი ვერსის მოშორებით ერთობის უბანში მილიციონერებმა იპოვნეს სამი მოკლული და ერთი დაჭრილი კაცი. როგორც გამოირკვა, ბოროტ-გამზრახველებს სდომებოდათ მათი გაძარცვა, უკანასკნელთ წინააღმდეგობა გაუწევიათ და მოუკლავთ. ბოროტ-მოქმედთა კვალი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

ქურდობა.

არტისტიულ საზოგადოების თეატრის გამგე სურგუნოვმა აცნობა მეორე უბნის კომისარს რომ ხსენებულ თეატრში იკარგება სისტემატიურად სხვა და სხვა ნივთები, რომლის ღირებულება დღემდის ათი ათას მანეთს უდრის. ამის გამო მილიციონერებმა მოახდინეს ჩხრეკა თეატრის მოსამსახურეთა შორის და აღმოუჩინეს ბმოპარული ნივთები თეატრის დარაჯს ახმედ კარამოვს, რომელიც გამოტყდა დანაშაულში.

—

ელისაბედ ხოლიარ-სობოლევისამ განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ მას ქურდებმა ჯიბიდან ამოაცალეს საათი ოქროს ძეწკვით. 23 დეკემბერს საათი სისხლის სამართლის მილიციონერებმა აღმოაჩინეს მიკირტიჩიანის მაღაზიაში, რომელიც მოუტანია უცნობ პირს შესაკეთებლად. მილიციამ საათი ჩამოართვა მიკირტიჩიანს და გადასცა პატრონს.

დაპატიმრება.

სისხლის სამართლის მილიციამ ერთი თვით დააპატიმრა, როგორც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის არა კეთილსაიმედო პირი ნიკოლოზ პეტროვი.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

თიანეთის სამაზრო ეროვნის გამგეობა

იწვევს გამოცდილ სამაზრო საერობო ექიმს თვეში 9000 მანეთი დღიურებიანათ. ორ ექიმს ამბულატორიისათვის თიანეთში და ხევსურთა სოფელში 6000 მან. თითოს, აგრონომს (უმაღლეს სწავლა დამთავრებულს) 5000 მან. აგრონომს (საშუალო განათლებით) 4000 მანეთი საერობო ტეხნიკს 4500 მან., მის თანაშემწეს 4000 მან., მასწავლებლებს 15 იანვრიდან თვეში 2300 მან. საჭიროა აგრეთვე სკოლის ფერშლები და ბებია ფერშლები თვეში 4000 მანეთი. თხოვნები დაწვრილებით „ჟურკულუმვიტეთი“ მიიღება ერობის გამგეობაში.

1—1 4 ერობის გამგეობა.

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო დანიელის ძე თანახმად ნუყეზრა ქაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მისი მამის დანიელ ენუქაშვილის მიერ დატოვებული ვექსილის ბლანკები შემდეგი პირებისაგან ხელმოწერილნი: აარონ იოსების ძე მიხელაშვილისაგან 4000 მანეთისა და იასონ კვაპარავასაგან 13000 მანეთისა და ამა უკანასკნელისაგან ერთი ვექსილი 2000 მან., რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსიდან, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული ვექსილებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 328 3—2

მიხეილ არტემის ძე ნარსესოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა აღნიშნული ტფილისის ნოტარიულურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მაისის 30, 1885 წ. № 595. სიმტკიცის მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 461 3—2

სიმონ მიხეილის ძე დოლაბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული თელავის ქალაქის გამგეობიდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 10 3—2

დაკარგულია პასპორტი № 3438, აღებული თამარა ალახვერდოვის მიერ ყოფილ ერევნის მდგბარეობის მოქალაქეთა სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 505 3—2

გეურგ მატინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 339 3—2

სპარსეთის ქვეშემდომი იერემია ნატან-ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისში სპარსეთის კონსულისგან 4/II 1917 წ. № 178. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 473 3—3

ალექსანდრე ალექსის ძე რეგიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 4598 აღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 12 3—2

გერასიმე ალექსის ძე ვაშაკიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 3—2 501

ილია ქრისტესიას ძე ტლაშაძე უცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან და მოწმობა მიღებული კახეთის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს უფროსისგან საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 424 3—2

შალონ შაბათის ძე გურიელაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა საზღვარ გარეთ გასასვლელი პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან № 1291. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 485 3—2

ტროფიმე ნიკოლოზის ძე ბოცვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის მაზრის გამოჩინებულის საზოგადოების კანცელარიიდან აღებული პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 498 3—2

პართენ ნიკოლოზის ძე სამარღანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე ფულით, პასპორტი, ავლაბრის რაიონში აღებული, პარტიული წიგნაკი და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს: 2 3—2

ნიკოლოზ სოლომონის ძე ტარალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი დ ტყვეობის ბილეთი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ბანდარენკომ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი პავლე ბანდარენკო, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1906 წ. 25 აგვისტოს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წ, 7 აპრილიდან, ყველა, ვინც იცისდაკარგული პავლე ბანდარენკოს მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონის ძალით ვალდებულია განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 847 3—2

ეფიმე ისაკოვის ძე კოკიელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, № 3000, აღებული ყოფილ ტფილ. პოლიციმეისტერის კანცელარიიდან 1913 წ. მაისის 17. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 500 3—2

ანისი სერგის ასული ფარინა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, პროფესიონალურ კავშირიდან აღებული წიგნაკი, მრეცხველის მოწმობა და ასი მანეთის კვიტანცია. აღნიშნული მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 1 3—2

კონსტანტინე იაგორის ძე ცოვიანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიწის კუთვნილებისა. მამული მდებარეობს „ვაკეში“, ტფილისის მაზრა და აღნიშ. ტფილ. ოლქის სასამ. აღმასრ. ფურცელში 1904 წ. 1 დეკემ. რეესტრი № 338. 486 3—2

სუსანა ივანეს ასული ხვედელიძე აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი № 21,868, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 497 3—1

ვიქტორ თეოფილეს ძე დვალი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის მე4-ხე უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და ს. ზედაშავრის ეკლესიის მიერ მიცემული მეტრიკული მოწმობა. ატესტატი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 5 3—1

ფარსეგ გიორგის ძე გალუსტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული ქალ. ალექსანდროპოლში, მეტრიკული მოწმობა და ქარხნის „შვიდი მნათობის“, მუშების კავშირიდან აღებული მოწმობა. მოწმობები გაუქმებულად ჩაითვლება. 482 3—3

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი